



# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის თებერვლის 16.	<b>№ 3</b> განყოფილება პირველი	ა/კფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.
----------------------------	-----------------------------------	------------------------------------------------------------------------------

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

- მუხ. 18. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისა, მომრიგებელი კამერებისა და სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულების წესის შესახებ.
- „ 19. „კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 7-ს დადგენილების მე-3 მუხლის განმარტების შესახებ.
- „ 20. „ა/კფსრ ტერიტორიაზე 1928-29 საშენაწერო წელს წყლის გამოსაღების დაწესების თაობაზე“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის დეკემბრის 27-ს თარიღისა და 84 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.
- „ 21. დებულება ადგილობრივი ბიუჯეტებით სოფლის მეურნეობის დაფინანსების შესახებ.
- „ 22. ხეტყის დამზადების საქმეში და ხის დამუშავების მრეწველობაში მეტრულ საზომთა ზმარების საბოლოოდ განმტკიცების შესახებ.
- „ 23. იმ თურქ-ქალთათვის და აჭარულ-ქალთათვის, რომელთაც ჩადრი მოიხსნეს, შრომითი დახმარების გაწვევის შესახებ.
- „ 24. „ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის, წყალთა ადმინისტრაციის შესანახად, ფულადი თანხების გადახდევინების უფლების მიცემის თაობაზე“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის აგვისტოს 13-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.
- „ 25. ინსტრუქცია სამშენებლო სამუშაოში დეფიციტის მასალების გამოყენების წესის შესახებ.



## დადგენილება № 6 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიანობისა.

1929 წ. იანვრის 31.

- 18.** შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისა, მომრიგებელი კამერებისა და სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულების წესის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიანობა ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიანობის 1929 წ. იანვრის 21-ის თარიღისა და 35 №-ის დადგენილება „შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისა, მომრიგებელი კამერებისა და სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულების წესის შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

საერთო-საორგანიზაციო განყოფ. გამგე ათაბეგოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 25 №-ში 1929 წ. თებერვლის 1-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- 19.** „კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 7-ს დადგენილების მე-3 მუხლის განმარტების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განმარტებულ იქნეს, რომ „კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-8 №-რი, მუხ. 75) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 7-ს დადგენილების მე-3 მუხ-





ლის მოქმედება არა ვრცელდება ა/კფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებზე, რომელთაც უფლება აქვთ მოახდინონ რევიზია, აწარმოონ კონტროლი და ყოველგვარი გამოკვლევა და აგრეთვე უშუალოდ თვალყური ადევნონ იმ მუშაობას, რასაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აწარმოებს სამელიორაციო ფონდის სახსარით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუხუნიძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდია.**

ტფილისი-სასახლე. 1929 წ. იანვრის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 26 №-ში 1929 წ. თებერვლის 2-ს.

## დადგენილება № 98 ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**20.** „ა/კფსრ ტერიტორიაზე 1928-29 საშენაწერო წელს წყლის გამოსაღების დაწესების თაობაზე“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 27-ს თარიღისა და 84 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-6 მუხლი ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის დეკემბრის 27-ს თარიღისა და 84 №-ის დადგენილებისა „ა/კფსრ ტერიტორიაზე 1928 29 საშენაწერო წელს წყლის გამოსაღების დაწესების შესახებ“ (ა/კფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 261) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6. წყლის გამოსაღების გადახდის უკიდურეს ვადად დანიშნულია 1929 წლის მარტის პირველი“.

ა/კფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი-სასახლე. 1929 წლის იანვრის 31.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 27 №-ში 1929 წ. თებერვლის 3-ს.



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 21. ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტებით სოფლის მეურნეობის დაფინანსების დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის დაფინანსების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჭუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1929 წ. იანვრის 28.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტებით სოფლის მეურნეობის დაფინანსების შესახებ.

1. ა/კსფსრ-ში ასიგნებები სოფლის მეურნეობის დაფინანსებისათვის განიყოფება დასაბრუნებელ და დაუბრუნებელ ასიგნებად.

2. სამაზრო საადგილმამულო განყოფილებებისა და იმ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სათანადო ორგანოებისა, რომელთაც მაზრობითი დანაწილება არა აქვთ, აგრეთვე სომხეთის სსრ-ში—უბნებისა, საქართველოს სსრ-ში—თემებისა და აზერბაიჯანის სსრ-ში—დაირების აღმასრულებელი კომიტეტების ხარჯთაღრიცხვებში შეიტანება მხოლოდ დაუბრუნებელი ასიგნებები სოფლის მეურნეობის დაფინანსებისათვის.

3. ადგილობრივ ბიუჯეტებში სოფლის მეურნეობის დაფინანსებისათვის კრედიტის სახით შეტანილი ასიგნებებიდან დაუბრუნებელ ასიგნებს მიეკუთვნება:

ა) კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპებზე მოქმედ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საწესდებო კაპიტალში გადაღებული ასიგნებები;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო, საირიგაციო და სხვ. ღონისძიებისათვის გადაღებული ასიგნებები;



გ) სხვა ღონისძიებათათვის გადადებული ასიგნებები, თვითიველ ცალკე შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

4. დასაბრუნებელი ასიგნებები სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად გადაიდება ა/კფსრ ადგილობრივი ბიუჯეტებით სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ღონისძიებათათვის სესხის გასაცემად, უკეთუ არსებობს საამისო განსაკუთრებული დადგენილებები სსრკ-ისა, ა/კფსრ-ისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებისა. გადადებული სახსარის ხარჯვის წესი განისაზღვრება ა/კფსრ-ისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა სათანადო დადგენილებებით.

5. მე-4 მუხ. აღნიშნული ასიგნებების გარდა, ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებებით, ა/კფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ს დებულების მე-80 მუხლის წესისამებრ, შეიძლება დაარსებულ იქნეს სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად დანიშნული სპეციალური ფონდები.

6. სპეციალური ფონდების დაარსება, ამ ფონდებში ასიგნებების გადადება და ფონდების გამოყენების წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებათა საერთო-საკავშირო და ფედერატიულ გეგმებთან. ამის შესახებ დადგენილება გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 29 №-ში.



**დადგენილება № 100 ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**22. ხეტყის დამზადების საქმეში და ხის დამუშავების მრეწველობაში მეტრულ საზომთა ხმარების საბოლოოდ განმტკიცების შესახებ.**

„ა/კფსრ ტერიტორიაზე მდებარე ტყეებში მერქანის აღნუსხვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული (ა/კფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-20 №-რი, მუხ. 228) აკფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 25-ს თარიღისა და 70 №-ის დადგენილების განსავითარებლად—ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კფსრ ტერიტორიაზე ხეტყის დამზადების საქმისა და ხის დამუშავების მრეწველობის ყველა ოპერაციაში მეტრულ საზომთა ხმარების განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებანი განხორციელებულ უნდა იქნენ შემდეგი წესისა და ვადების შესრულებით:

ა) წიწვიანი ჯიშის რვეალი ხეტყის დამზადებისა, დახერხვისა და აღნუსხვის დროს უნდა იხმარებოდეს მარტოოდენ მეტრული საზომი საერთო-საკავშირო მეტრულ სტანდარტებთან (საერთო.საკავ. სტან. 92 და 93) სრული შეფარდებით.



ვიდრე ფოთლიანი ჯიშის ხე-ტყის მასალისა და შეშის საერთო-საკავშირო სტანდარტები დამტკიცდებოდეს,—ფოთლიანი ჯიშის ხე-ტყის მასალის დამზადებისა, დახერხვისა და აღნუსხვის დროს შეიძლება ძველი საზომების ხმარება, ხოლო ანგარიშებში, დავთრებში და დოკუმენტებში ყოველგვარი სახის—გამოუკლებრივ—ხე-ტყის მასალისა და შეშის მოცულობის გამო ანგარიშები უნდა სწარმოებდეს მეტრული საზომით.

**შენიშვნა.** უცხოეთში გასატანი ტყის დამზადებისა და დამუშავების დროს, უკეთეს უცხოეთის ბაზარი მოითხოვს, შეიძლება არამეტრული საზომის ხმარებაც.

ბ) 1929 წლის აპრილის 25-თვის დამთავრებულ იქნეს ყველა მუშაობა ძირზე-მდგარი ტყის აღნუსხვისა, საკუთავი ნაკვეთების მიჩენისა, ტაქსაციისა, აგრეთვე ტყის მოჭრისათვის ბილეთების გაცემისა და სხვა ამგვარ პროცესებში მეტრული საზომის სახმარებლად შემოღებისათვის.

2. რვეალი ხე-ტყისათვის თანაბარ აღნუსხვის დასამყარებლად—მისი კუბატურის გამოანგარიშების დროს, აგრეთვე ხელშეკრულებათა დადების დროს, ვიდრე მოცულობის ახალი ცხრილები შემოიღებდეს, შეფარდებულ უნდა იქნეს კრუდენერის მიერ შედგენილი და ტურსკის მიერ მეტრულ საზომებზე გადატანილი ცხრილები.

3. მეტრული საზომების მიხედვით დადებული ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია სხვა რაიმე,—არა კრუდენერის მეთოდით გამოანგარიშებული,—ცხრილების საფუძველზე, და რომელსაც ძალა არ დაუკარგავს 1928 წ. ოქტომბრის 1-ლის შემდეგ,—ხელახლა უნდა იქნეს შედგენილი ამა დადგენილების მე-2 მუხლთან შეფარდებით.

4. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, უნდა დაამყაროს წესი და ვადა ხე-ტყის მასალის ფასების კალკულიაციის ხელახალი შედგენისათვის და გამოსცეს ინსტრუქცია ხელშეკრულებათა ხელახალი შედგენისათვის ამა დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, არა უგვიანეს 1930 წ. ოქტომბრის 1-სა, უნდა დაამთავრონ ყველა სამუშაო ტყის მეურნეობის ყოველი დარგის გადანაკვეთი ნორმების ხელახალი შედგენისა და გამოცემისათვის და შემოიღონ ხმარებაში ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი მეტრული სორტიმენტები და მასსიური ცხრილები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. იანვრის 31. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 36 №-ში 1929 წ. თებერვლის 14-ს.



## დადგენილება № 17 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. თებერვლის 11.

### **23. იმ თურქ-ქალთათვის და აქარელ-ქალთათვის, რომელთაც ჩადრი მოიხსნეს, შრომითი დახმარების გაწევის შესახებ.**

თურქ-ქალებისა და აქარელ-ქალების მიერ ჩადრის მოხსნისათვის წარმოებულ კამპანიასთან დაკავშირებით—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს აღნიშნული ქალების ძველ ჩვეულებათაგან განთავისუფლების საქმეში ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიებად მიაჩნია, რომ ისინი ჩაბმულ იქნენ სახალხო მეურნეობაში და შრომაში.

ამის გამო ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს გაახშირონ სამუშაოზე გაგზავნა იმ თურქ-ქალებისა და აქარელ-ქალებისა, რომელთაც ჩადრი მოიხსნეს, შრომის ბირჟაზე რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევართა თანაბრად, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, უპირველეს ყოვლისა სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც ქალის შრომა ფართოდ არის შემოღებული: საფეიქრო, სამკერვალო, სატრიკოტაჟო, სათამბაქო, საჩაიო და სხვა დარგში.

შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა ღონისძიება უნდა იხმარონ, რათა შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ მოწყობილ კურსებზე უმუშევარ ქალთა მომზადებისა და ხელახლა მომზადებისათვის, აგრეთვე უკვე არსებულ და დასაარსებლად განზრახულ შრომის კოლექტივებში მონაწილეობა მიიღონ თურქ ქალებმა და აქარელ-ქალებმა, რომელთაც ჩადრი მოიხსნეს, რისთვისაც საჭიროა, რომ ასეთ თურქ-ქალთა და აქარელ-ქალთა რიცხვი წინასწარ შეთანხმებულ იქნეს სათანადო ორგანიზაციებთან.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა სასწრაფოდ უნდა გამოჰყონ, დროებითი ღონისძიების სახით, მიმდინარე საბიუჯეტო წლისთვის, უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან თანხები (აზერბაიჯანის სსრ შრომის სახალხო კ-ტმა—9.000 მან., საქართველოს სსრ შრ. სახ. კ-ტმა—6.000 მან. და სომხეთის სსრ შრ. სახ. კ-ტმა—3.000 მან.) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიებისათვის გადასაცემად მათი ფონდების გასაძლიერებლად, რათა განხორციელებულ იქნეს მთელი რიგი ღონისძიებანი იმ თურქ-ქალთა და აქარელ-ქალთა კულტურული მდგომარეობისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის, რომელთაც ჩადრი მოიხსნეს.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა უნდა გააძლიერონ კავშირი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავა-





ლი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიებთან, რათა შეთანხმებულ და შეკავშირებულ იქნეს ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო მუშაობა.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარია იაშვილი.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და შრომის დაცვის განყოფ. გამგე შახსუვარიანი.

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის ბაზრის განყოფილების გამგე გრიგორიანი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 34 №-ში 1929 წ. თებერვლის 12-ს.

### დადგენილება № 101 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**24.** „ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის, წყალთა ადგილობრივი ადმინისტრაციის შესანახად, ფულადი თანხების გადახდევინების უფლების მიცემის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 13-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „წყლის გამოსაღების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ 1928 წ. აგვისტოს 1-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 49 №-რი, მუხ. 435) დადგენილების თანახმად—გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 13 ს თარიღისა და 77 №-რის დადგენილება „ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის, წყალთა ადგილობრივი ადმინისტრაციის შესანახად, ფულადი თანხების გადახდევინების უფლების მიცემის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-10 №-რი, მუხ. 168).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ჭუხეინოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. იანვრის 31. ტფილისი—სასახლე.  
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 37 №-ში 1929 წ. თებერვლის 15-ს.





## დადგენილება № 102 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 25. სამშენებლო სამუშაოში დეფიციტიანი მასალების გამოყენების წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია სამშენებლო სამუშაოში დეფიციტიანი მასალების გამოყენების წესის შესახებ.

### ინსტრუქცია

#### სამშენებლო სამუშაოში დეფიციტიანი მასალების გამოყენების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის 1928 წ. დეკემბრის 22-ს საოქმო დადგენილების თანახმად ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა უწყებას, დაწესებულებას და საწარმოს, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულსა, საზოგადოებრივსა და კერძოს, რომელიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამშენებლო მუშაობას აწარმოებს, აგრეთვე რომელიც საამისო სამუშაოს პროექტებს ამტკიცებს და კონტროლს ეწევა, სახელმძღვანელოდ მიიღონ შემდეგი წესები დეფიციტიანი საშენი მასალების გამოყენების შესახებ, ვიდრე, აღნიშნული მასალების ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებასთან დაკავშირებით, გამოიცემოდეს ახალი განკარგულება.

#### I. ც ე მ ე ნ ტ ი.

1. არ უნდა იქნეს გამოყენებული მსუქანი ხსნარი იქ, სადაც ამას ტეხნიკური საჭიროება არ იწვევს.

2. საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სხვა შენობის აგების დროს კედლები ცემენტის ხსნარით არ უნდა იქნეს აყვანილი. ამასთანავე საჭიროა, რაც შეიძლება ფართოდ იხმარებოდეს კირისა და რთული ხსნარი და გამოყენებულ იქნეს, სადაც ეს შესაძლებელია, ადგილობრივი პუტოლანი.

**შენიშვნა.** რკინა-ბეტონის სამუშაოსათვის იხმარება მხოლოდ პორტლანდის ცემენტი.

#### II. ლ ი თ ო ნ ი.

1. ყველგან, სადაც-ც ეს შესაძლებელია, საცხოვრებელი შენობისა, დამხმარე და სამომსახურეო შენობისა, აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში სამრეწველო დანიშნულების ნაგებობისათვისაც სახურავი რკინა შეცვლილ უნდა იქნეს უწყებული ადგილის შესაფერი ადგილობრივი ცეცხლისმძლე მასალით: თიხისა და



ცემენტის კრამიტით, ბუნებრივი სიპით ან სახურავი ფიქალით, რუბეროიდით, ეტერნიტით, ტოლით და სხვ.

2. სართულსა და სართულს შუა გადახურვისათვის რკინის კოჭები უნდა იხმარებოდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს განსაკუთრებული სამშენებლო პირობები; ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ხის კოჭები.

3. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სახმარია რკინის კოჭების თვალსაჩინო რაოდენობა, სავალდებულოა ამ კოჭების გამონაგარიშებით შემოწმება და არა მარტო ემპირიული ცნობებით დაკმაყოფილება; ამასთანავე, არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს გამონაგარიშებულ სიმაგრეზე მეტი მარაგი გამძლეობისა.

4. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რკინა-ბეტონის სამუშაოსათვის მცირე დიამეტრის საარმატურო რკინის დიდი დიამეტრის რკინით შეცვლა, უკეთეს სათანადოდ შემცირებულ არ იქნა თვით რკინის წკვპლების რიცხვი, გამონაგარიშებით განსაზღვრული.

### III. ხ ე ტ ყ ი ს მ ა ს ა ლ ა .

1. სამშენებლო სამუშაოში მაღალხარისხოვანი ხეტყის მასალა (განსაკუთრებით დახერხილი) გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი მინიმალური კვეთილობისა, რაც მისაღებია გამძლეობის გამონაგარიშებით შემოწმების შემდეგ.

2. არ შეიძლება არარაციონალური გამოყენება რსფსრ-დან შემოზიდული (ვოლგური) პირველი ხარისხის ხეტყის მასალისა დროებითი და დამხმარე ნაგებობისათვის, სახელდობრ: ფიცარნაგებობისათვის, ხარაჩოებისათვის, დროებითი ზღუდეებისათვის, ლობეებისათვის და სხვ. საამისოდ უნდა იხმარებოდეს ადგილობრივი ან შემოზიდული მეორე და მესამე ხარისხოვანი ხეტყე.

3. მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნეს ხეტყის მასალის ნარჩენი და ხარაჩოებისა და სხვა ნაგებობის მასალის ნარჩენი თვით სამუშაოში ხის ჭერისათვის, ჭერის შეფიცვისათვის, ტიხარისათვის, ნივნივისათვის და სხვ.

### IV. საღებავი, ზეთის გამოყენებით.

1. ზეთიანი საღებავის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იშვიათ ისიც აუცილებელ შემთხვევაში, როგორც, მაგალითად, სახურავისა, ფანჯრისა კარის და ჩარჩოს შესაღებად, საღებავლო ნაკეთობისათვის წასაცხებად და ნაგებობათა იმ შიდა ნაწილების შესაღებად, რომელთა ზეთიანი საღებავით შეღებვა საჭიროა განსაზღვრული სასანიტარო-სატეხნიკო მოთხოვნით.

2. აკრძალულია ზეთიანი საღებავით ქვიტკირის შენობის შეღებვა.

### V. მ ი ნ ა .

რამდენადაც შეიძლება, სასტანდარტო საფანჯრე ჩარჩოების ზომა შეთანხმებულ უნდა იქნეს მინის მრეწველობის იმ პროდუქციასთან, რაც ბაზარზეა.

### VI. ა გ უ რ ი .

იმ რაიონებში, სადაც აგური დეფიციტიანი მასალაა, როგორც, მაგალითად, ბაქო და დასავლეთი საქართველო:



- ა) რამდენადაც შეიძლება, საძირკველი და კედლები აგურით არ უნდა იქნეს აყვანილი და აგური უნდა იხმარებოდეს მხოლოდ კუთხეებისა და საფანჯრე და საკარე ადგილებისათვის;
- ბ) აიკრძალოს მთლიანი აგურით გიდალესვა;
- გ) აიკრძალოს აგურის იატაკებისა, ტროტუარებისა და გალავნების კეთება.

**VII. ყველა საშენი მასალა.**

მიღწეულ უნდა იქნეს, რამდენადაც შეიძლება, მეტი ეკონომია, რისთვისაც ნაგებობათა ელემენტების ოდენობა უნდა განისაზღვროს არსებული ტერმიული პირობების საფუძველზე ნაგებობის დანიშნულების მიხედვით. კერძოდ, კედლები არ უნდა იყოს ისეთი სისქისა, რაც გამართლებული არ იქნება სტატისტიკური და ტერმიული გამოანგარიშებით და იქ, სადაც ეს შესაძლებელია, საჭიროა მსუბუქ კონსტრუქციებზე გადასვლა.

**VIII. ტრანსპორტი და მასალების შენახვა.**

წინადადება მიეცეს იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელნიც ეზიდებიან და ინახავენ საშენ მასალას, იქონიონ გაძლიერებული მეთვალყურეობა, რათა მასალის ჩაფუთვისა, გადაზიდვისა, გადატან-გადმოტანისა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადანაცვლების დროს და აგრეთვე საწყობებში შენახვის დროს მიღწეულ იქნეს რაც შეიძლება ნაკლები კარგვა, მტვრევა და სხვაგვარი დანაკლისი.

IX. იმ ორგანოებმა, რომელნიც ახალი მშენებლობის პროექტებს ამტკიცებენ, ამ პროექტების განხილვის დროს უნდა იხელმძღვანელონ ეს ინსტრუქცია, რომელიც შეუძლიანთ შეავსონ ისეთი ღონისძიებებით დეფიციტური მასალების გამოყენებისათვის, რაც გამომდინარეობს ადგილობრივი თავისებურობის პირობებიდან.

უკეთეს საჭირო იქნება რაიმე გამონაკლისი ან გადახვევა ამა ინსტრუქციიდან, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ამიერკავკასიის სატენნიკო-სამშენებლო კომიტეტისა და რესპუბლიკანური სამშენებლო-სატენნიკო კომიტეტების თანხმობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. დეკემბრის 27. ტფილისი—სასახლე.